„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ბატონომე მელია

გია მახარაძის თასი ელვისებურ ჭადრაკში
8 - 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ქ. ბათუმი, 12-13 ივნისი, 2021 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტურნირის ორგანიზატორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაცია.

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლის ჭადრაკის დარბაზი. მის: გორგილაძის 91.

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. 8-დან 12 წლამდე და 14-დან 18 წლამდე ჭაბუკები და გოგონები ითამაშებენ ერთობლივ ტურნირს.
აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები აჭარის ყველა რაიონიდან.
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე.
თაი-ბრეიქი: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით:

შვეიცარული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების რაოდენობა.

წრიული ტურნირის დროს:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. მოგებების მეტი რაოდენობა;
3. ზონებორნ-ბერგერის კოეფიციენტი;
4. თუ ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფიდეს წესების მიხედვით ჩატარდება დამატებითი მატჩები.

რეგისტრაცია:

მონაწილეებს რეგისტრაციის გავლა შეუძლია სათამაშო დარბაზში ტურნირის დაწყებამდე 30 წუთით ადრე: 8-12 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებს - 12 ივნისის 13:30 საათამდე, 14-18 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებს -13 ივნისის 13:30 საათამდე.

ტურნირის განრიგი:

8-12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის პარტიები გაიმართება 12 ივნისს 14:00 საათიდან, 14-18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის პარტიები გაიმართება 13 ივნისს 14:00 საათიდან.

საერთო წესები:
პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

გამარჯვებულები: 12 და 18 წლამდე I, II, III საპრიზო ადგილზე გასული ჭაბუკები და გოგონები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, კატეგორიების საერთო გამარჯვებულს კი გადაეცემა გია მახარაძის სახელობის თასი და ფასიანი საჩუქრები.

გია მახარაძის ოჯახის მიერ ტურნირში დაწესებულია ნომინაცია ''საუკეთესო ჩაოელი'', რომლის გამარჯვებულიც დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.
კოვიდ 19 -თან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის გამო მონაწილეთა, და მსაჯთა ვალდებულებები რეგულირდება დანართი 1 -ით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო დიდოსტატი სალომე მელია